საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №183
2017 წლის 5 ივნისი

ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

1. **მე-20 მუხლის:**

ა) **3^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3^2. სსა-ს გამოყენება სავალდებულო არ არის:

ა) კანონმდებლობით განსაზღვრული სანოტარო მოქმედებებისა და სხვა სანოტარო მომსახურების განხორციელებისას;

ბ) ,,2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბერის №638 დადგენილების №22 დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირის (დისტრიბუტორის) მიერ შესაბამისი მომსახურების გაწევისას.“;

ბ) **3^3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3^3. ამ მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად საგადასახადო ორგანოს წინასწარი თანხმობით სსა-ს გარეშე სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რეალიზაციისას, აგრეთვე, ამავე მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირი უფლებამოსილია გასცეს ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი.“;

გ) **მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

15. საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვისას ჩეკზე არასწორი თარიღის და დროის ჩვენების, აგრეთვე მომენტალური გადახდების ტექნოლოგიების და მოწყობილობების საშუალებით გაწეული მომსახურებისას (საქმიანობის ამ ნაწილში) სსა-ს გარეშე მუშაობის ან სსა-ს გამოუყენებლობის ფაქტის გამოვლენა, ასევე, ამ მუხლის 3^1 და 3^2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სსა-ს გარეშე მუშაობის ან სსა-ს გამოუყენებლობის ფაქტის გამოვლენა არ წარმოადგენს პირისათვის საგადასახადო სანქციის დაკისრების საფუძველს.“.

2. **21-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. პირმა, რომელიც საქონლის/მომსახურების მიწოდებას და ნაღდი ფულის მიღებას ახორციელებს მომხმარებლის ტერიტორიაზე (სახლში, ორგანიზაციებში, საწარმოებში) საქმიანობის ამ ნაწილში განხორციელებული ნაღდი ფულადი ანგარიშსწორების დასაფიქსირებლად, სსა-ის ნაცვლად შეიძლება გამოიყენოს ამ მუხლით დადგენილი წესით რეგისტრირებული/შეთანხმებული ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი (შემდგომში – ჩგდ). ჩგდ-ის გამოყენება ასევე დასაშვებია ამ წესის მე-20 მუხლის 3^3 და 23^5 მუხლის მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“.

http://www.matsne.gov.ge

3. **23 მუხლის:**

ა) **მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს 4^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

,,4^1. სსა-ს გამოყენება სავალდებულო არ არის:

ა) კანონმდებლობით განსაზღვრული სანოტარო მოქმედებებისა და სხვა სანოტარო მომსახურების განხორციელებისას;

ბ) ,,2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბერის №638 დადგენილების №22 დანართის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირის (დისტრიბუტორის) მიერ შესაბამისი მომსახურების გაწევისას.“;

ბ) **მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად საგადასახადო ორგანოს წინასწარი თანხმობით სსა-ს გარეშე სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რეალიზაციისას, აგრეთვე, ამავე მუხლის 4^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირი უფლებამოსილია გასცეს ჩეკთან გათანაბრებული დოკუმენტი.“;

გ) **მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,13. საქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვისას ჩეკზე არასწორი თარიღის და დროის ჩვენების, აგრეთვე მომენტალური გადახდების ტექნოლოგიების და მოწყობილობების საშუალებით გაწეული მომსახურებისას (საქმიანობის ამ ნაწილში) სსა-ის/ტექნიკური საშუალების გარეშე მუშაობის ან სსა-ის/ტექნიკური საშუალების გამოუყენებლობის ფაქტის გამოვლენა, ასევე, ამ მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სსა-ს გარეშე მუშაობის ან სსა-ს გამოუყენებლობის ფაქტის გამოვლენა არ წარმოადგენს პირისათვის საგადასახადო სანქციის დაკისრების საფუძველს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **დიმიტრი ქუმსიშვილი**